

**საქართველოს კანონი**

**„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში**

**ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №17-18, 9 მაისი, 1997, გვ. 8) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**1. 11<sup>7</sup> მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:**

„ვ<sup>1</sup>) ფარმაცევტული პროდუქტის GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი დოკუმენტი;“.

**2. 11<sup>11</sup> მუხლის მე-19 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:**

„დ<sup>1</sup>) ფარმაცევტული პროდუქტის GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა სავალდებულოა, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ეტაპებისა და პირობების დადგენისთანავე;“.

**3. 38-ე მუხლს დაემატოს 2<sup>3</sup> პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„2<sup>3</sup>. საქართველოს მთავრობა, 2022 წლის 1 მარტამდე, დადგენილებით, განსაზღვრავს შესაბამის ფარმაცევტულ პროდუქტზე, საქართველოს ბაზარზე ეროვნული ან აღიარებული რეჟიმით დაშვებული ან დაშვების მიზნით GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ეტაპობრიობას და სხვა პირობებს.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი